№ 62 20 თიბათვე, ქვირა 1866—1876 20 თიბათვე, ქვირა № 62

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „*Дроэба*“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის ქვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულითა სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციაში (ველიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში) მიიღება

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

ფასი ნახევარ წლისა— — — 4 მან. და 50 კაპ.
სამის თვისა— — — — 2 მან. და 50 კაპ.
ერთის თვისა— — — — 1 მან. „ „ „

მთელი წლის ეგზემპლიარები მხოლოთ რამდენიმეა დარჩენილი კიდევ რედაქციაში და მსურველს ამ წლის გამოსული ნომრები ყველა ერთად გაეგზავნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „*Дроэба*.“

ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

ომის ლოდინი

—

შემოდგომიდამ დაწყებული ჩვენი საზოგადოების აზრი მიქცეულია ერთს მეტის-მეტათ შესანიშნავს კითხვაზე: იქნება ომი, თუ არაო. ბანკის მმართველების და მარშლების ამორჩევამაც ვერ წაართვა ამ კითხვას უპირატესობა ჩვენი ქვეყნის გონებაში. ყენჭის ყრამდი, ყენჭის ყრის დროს და ამის შემდეგაც ხალხი ერთნაირათ ცდილობდა და ცდილობს შეიტყოს ნამდვილათ: იქნება მეროპაში ომი, თუ არა? შეგვეხება ჩვენ ეს ომი, თუ არა?

სხვა და სხვა გვარი პირები სხვა და სხვა თვალებით შესცქერიან ამ მომავალს ომს. ზოგი სიხარულით მოელის იმას, როგორც თავისი და თავისიანების დაწინაურების საშუალებას. სხვანი ომში ხედვენ პოდრიადების შოვნის და მათში ფულების ბლომათ მოგების წყაროს. უჭეტესი ნაწილი კი დარწმუნებულია, რომ ომიანობა ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე მილიონს მანეთს შემოიტანს და დასტოვებს.

ამ ნაირათ ფიქრობენ ისინი, ვინც ცხოვრებაში უფრო მეტათ მატერიალურ მხარეებს აკვირდებიან.

მაგრამ ჩვენში ბევრი სხვა ისეთი პირებიც მოიძევიან, რომელნიც უფრო მაღალს და კეთილშობილურს მიზანს მისჩერებიან. ამ გვარი პირნი ომს შეჰყურებენ, როგორც საშუალებას, რომელიც ჩვენს სამშობლოს შესძენს ოსმალეთის საქართველოს, და მოუმატებს ჩვენს ქვეყანას მის ჩინებულს თვალს—ბათუმის ბოლოს.

სხვები ჰფიქრობენ, რომ ომი ისეთი სენია, რომელიც ბევრს ოჯახს დაობლებს და ბევრს კაცს დაამშვენებს, და ამისათვის მოსარიდებელიაო.

ყველა ამ გვარი იმედი, მიზნები და მორიდება ადვილათ აგვიხსნის, თუ რისთვისაა გავრცელებული ჩვენში კითხვა: „იქნება თუ არა ომი?“

ნამდვილს, შეუცდომელს პასუხს ამ კითხვაზე, რასაკვირველია, ვერავინ ვერ მისცემს ჩვენს საზოგადოებას: ვერც ჩვენი მწერალი, ვერც თვითონ ის პირნი, ვის ხელშიაც ბრუნავს თანამედროე პოლიტიკა. მაგრამ მიახლოვებით კი შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ადვილათ დასაბოლოებელი არ არის ის ბრძოლა, რომელიც შარშან ბერლინგოვინაში ატყდა ოსმალოებსა და სლავიანებს შუა. ევროპიელ მმართებლობებს ჰსურდათ, ეს ბრძოლა დაებოლოებინათ დიპლომატიურის მოლაპარაკებით; იმათ ამ განზრახვით ბევრი კეთილი რჩევა მისცეს როგორც ოსმალეთის მმართებლობას, ისე აჯანყებულს სლავიანებს. მაგრამ ბრძოლა მაინც არ დამცხრალა. ამის შემდეგ ევროპის მმართებლობებმა მოინდომეს პირ-და-პირ გარეულიყვნენ ამ ბრძოლაში მაგრამ იმათმა ურთიერთმა უთანხმოებამ და ინგლისის პირ-და-პირმა წინაალმდეგობამ ააცილეს ოსმალეთს ეს განსაცდელი.

ეხლა, რაკი დიდმა სახელმწიფოებმა გარეშე დგომა დააპირეს ამ ბრძოლაში, საქმე მარტო აჯანყებულებზეა მიტოვებული. როგორც სჩანს, სლავიანებს დაეხმარებიან ამ მოკლე ხანში სერბია და ჩერნოგორია, და უეჭვოა, რომ ამ წვრილმანი სახელმწიფოების ძალა გვარიანათ გაუჭირვებს საქმეს ხონთქრის მმართებლობას. ამის შემდეგ, თუ სლავიანები ერთობ გაძლიერდნენ, სხვა სახელმწიფოებიც გაერევიან ალბათ ბრძოლაში, როცა ის აუცილებელი კითხვა ატყდება—თუ ვის უნდა ერგოს დაეარდნილი ოსმალეთის ნაკვეთები. მარტო მაშინ შეიქნება შესაძლო ევროპიული ომი სხვა და სხვა სახელმწიფოებს შუა.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ ომი ჩვენ მხარესაც ცოტაოდნათ შეეხოს. მაგრამ მოსალოდნელია, რომ თუ საფრანგეთი ინგლისს და ოსმალეთს არ დაეხმარა, ჩვენში ომი ფეხს ვერ შემოადგამს. მაშინ ჩვენი მდგომარეობა მარტო იმით იქნება შესანიშნავი, რომ ინგლისის გემები შავ-ზღვაში სეირნობას დაიწყებენ, და ზღვის ნაპირა ქალაქებს აიკლებენ. ჩვენი მხრით კი იქნება ისიც შეიქნეს შესაძლო, რომ ჩვენი ჯარი ოსმალოს საქართველოში შევიდეს.

ვიმეორებთ, ომი იქნება თუ არა, ეს მარტო მაღალმა ღმერთმა უწყის. ცხადია დღეს მარტო ის, რომ მალე, ამ მოკლე ხანში ჩვენში არაფერი ომი არ მოხდება. მაგრამ ვინიცობაა, რომ ომი მოხდეს, ჩვენ შეგვიძლიან იმედი ვიქონიოთ, რომ ოსმალეთი ჩვენს წინააღმდეგ, აქ, კავკასიის მხრით, ვერაფერს შესანიშნავს ძალას და ჯარს ვერ იხმარს, რადგანც უმეტესი ნაწილი თავის ჯარისა იმას ევროპაშივე დასჭირდება, სლავიანების წინააღმდეგ. მარტო ერთი შემთხვევაა წარმოსადგენი, როცა, იქნება, ჩვენში ბრძოლა გაძლიერდეს,—ეს ის შემთხვევა იქნება, საფრანგეთმა ბრძოლაში გარევა რომ მოინდომოს და აქეთკენ ხმელეთის ჯარი გამოგზავნოს. მაგრამ ნაძეტნათ არც ესაა წარმოსადგენი, ამიტომ რომ უმეტესი ნაწილი საფრანგეთის ჯარისა დაკავებული და გართული იქნება ბერმანიის ჯარით, თვითონ საფრანგეთის სამზღვრებზე. ინგლისი კი დიდ-ძალ ხმელეთის ჯარს ვერსად ვერ გაგზავნის, ამიტომ რომ მისი ძალა ხმელეთის ჯარში კი არა, ხომალდებში და ზღვის ძლიერებაში მდგომარეობს.

ყოველს შემთხვევაში კი გულდასაწყვეტი ის არის, რომ ჩვენი მილიცია მშვიდობიანობის დროს არ ეჩვევა საბრძოლო წესს და არ სწავლობს ახალი ჩქარა-მსროლი თოფიარაღის ხმარებას. უწინდელი ჩვენი მილიცია გამოსადეგი იყო ოსმალოებთან ბრძოლაში, როცა იმათაც მილიცია გამოჰყავდათ და ჯარი ტალკვესიანი თოფებით დაიარაღებული ჰყვანდათ. დღეს კი როგორც ოსმალეთს, ისე სხვა სახელმწიფოებს, მილიციის მაგიერ გვარიანათ გაწვრთნილი ჯარები ჰყავთ, და ეს ჯარები ჩინებული ჩქარა-მსროლი თოფებით და ზარბაზნებით დაიარაღებულნი არიან.

ომსაც ჩვენ დღეს-ხვალ რომ არ ველოდეთ, საჭიროა, რომ ჩვენი ხალხი დაიარაღებული იყოს ახალი თოფებით, რომ იმან ამ თოფების ხმარება ისწავლოს, და შესწავლული ჰქონდეს ეხლანდელი ჯარის წყობილება და სამხედრო წესი. იჰედია, რომ მომავალში მიექცევა ყურადღება ამ საქმეს და ჩვენს ხალხს საშუალება ექნება ხელ-ახლავ გამოიჩინოს ის მამაცობა და ის გმირობა, ბრძოლის ველზე, რომელნიც იმას ნიადაგ წინაუძღოდენ ოცი საუკუნის განმავლობაში....

საქართველო

დღიური

—

ჩვენ შევიტყეთ, რომ ივრის ხეობის რამდენსამე სოფელს კაცები აურჩევია და ქალაქში გამოუგზავნია საჩიველელად იმ შოსეს გზის თაობაზე რომელზედაც ამ უკანასკნელ დროს ჩვენს გაზეთში ამდენი იწერებოდა. თავის ქალალდში, როგორც შევიტყეთ, გლეხები სთხოვენ მთავარ სამმართველოს უფროსს მხოლოთ იმას, რომ შეატყობინონ: რაც ამ გზის საკეთებელად და რემონტისათვის იმათ ამ შვიდი წლის განმავლობაში უმუშავნიათ, ერგებათ ამისთვის რამე, თუ არა? ამასთანავე გლეხებს წარუდგენიათ ზოგიერთ სოფლის მამასახლისების მოწმობა, რომ გზის მუშაობისთვის ხალხს არა მიულია-რა.

ამბობენ, რომ კავკასიის მთავარ სამმართველოს ახალს უფროსს სენატორს ალუშინს, არზის მიღების შემდეგ, მოუთხოვნია ყველა ცნობანი, რაც კი ამ საქმეს შეეხება.

*
* *

ქუთაისის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებას, ჯერ-ჯეროობით მხოლოთ უეზდის მარშლები ამოურჩევია; გუშინწინ ღუბერნიის მარშლის კენჭის-ყრას შეუდგებოდნენ. უეზდის მარშლებად, როგორც გვწერენ, შემდეგი პირები ამოურჩევიათ:

ქუთაისის უეზდისა—თ. ირაკლი ლორთქიფანიძე, ოზურგეთის—თ. იესე ბურიელი, რაჭისა— თ. პლატონ წულუკიძე, შორაპნისა— თ. სვიმონ წერეთელი. პირველ ორ ამათგანს იმ ჰაზრით უყრიათ კენჭი, რომ შემდეგ ღუბერნიის მარშლად ჰსურთ დარჩენაო. ამათ გარდა ღუბერნიის მარშლობის კანდიდატებად არიან: ძველი მარშალი—თ. ბიორგი აგიაშვილი და თ. ნესტორ წერეთელი. აქ ამბობენო, გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი, რომ თ. ნესტორ წერეთელი გაიტანსო.

— ეს ნომერი იბეჭდებოდა, როცა შევიტყეთ, რომ ღუბერნიის მარშლად თ. ნესტორ წერეთელი ამოურჩევიათ.

*
* *

ჩვენ მოგვეიდა ქუთაისიდამ, გაზეთში გამოსაცხადებლად, ანგარიში იმ საღამოს შემოსავალ-გასავლისა, რომელიც ამას წინათ გაუმართავთ იქ ერთი ახალგაზდა პირის სასარგე-

ბლოდ: შემოსავალი ყოფილა სულ —365 მან., დახარჯულა—60 მან., ნისიები დარჩენილა—30 მანეთისა. დანარჩენი წმინდა შემოსავალი 275 მანეთი სალამოს მოთავეებს აღნიშნული პირისათვის გაუგზავნიათ.

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ამ თვის 15-ს იქ ყოფილა ქართული სპექტაკლი ერთი ახალგაზდა კაცის სასარგებლოდ, რომელიც უმაღლეს სწავლის მისაღებად რუსეთში წასვლას ემზადებაო. ამ სპექტაკლის ანგარიშს ამ ორ დღეში გამოგიგზავნითო, გვწერენ.

* * *

თფილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი გვაცნობებს, რომ წელს ხსენებულს გიმნაზიაში 18 ყმაწვილ კაცს გაუთავებია კურსი. ამათი გვარების შეტყობა საინტერესო უნდა იყოს ქართული საზოგადოებისთვის: აი ეს ყმაწვილი კაცები: ალხოვი, ქინშინი, არგუთინსკი, დანჩენკო, ჯალალოვი, მნიკალოფოვი, უაზაროვი, ქრინცოვი, მამიკონოვი, მელიქოვი, მირზოევი, ნეჟინსკი, სლინკო, შრაზოვი, შაჰმურადოვი, ელიაზაროვი, ქარაგადაევი და არუთინოვი.

აბა გამოიცანთ, დაითვალეთ—რამდენი ქართველი ურევია ამ ყმაწვილ კაცებში, რომელთაც წელს საქართველოს სატახტო ქალაქის—თფილისის გიმნაზიაში სწავლა შეასრულეს?!

* * *

ხაშურიდამ გვწერენ, რომ ამ დღეებში სოფ. ჭეიშხეთსა და ხაშურს შუა, სამს ვერსზე ჭეიშხეთიდამ, მინდორში ეილაც მკვდარი კაცი უნახავთ. ჯერ არავინ არ იცის—ვინ არის მიცვალებულიო.

* * *

ერთს დროს ქალაქში ლაპარაკი იყო, რომ სოლოლაკის მთა უნდა გათხარონ და ბოტანიკურ ბაღში ტონნელით გზა უნდა გაიყვანონო. როგორც ეტყობა, ეს განზრახვა მიუწდომელად უცვნიათ და მიუტოვებიათ; სენატორის ალუშინის განკარგულებით ამ დღეებში ფეთხაინის საყდრიდამ აიყვანეს გზა, რომელიც პირ-და-პირ ბოტანიკურ ბაღის ალაყაფის კარებთან მიდის. რასაკვირველია, რომ ეს გზა საქვეითოა. ხალხი ამ გზას „ალუშინის გზას“ ეძახის.

* * *

იმ სიღნაღის კორრესპონდენციის თაობაზე, რომელიც „დროების“ № 55-ში იყო დაბეჭდილი, ჩვენ მივიღეთ ახეთიდამ შემდეგი შენიშნვა:

„უფ. რედაქტორო! თქვენი სიღნაღელი კორრესპონდენტი იწერება, რომ დამწვარა სიღნაღის უეზდში ს. ქარდანეხში აფხაზის ბოსელი და საბძელი, ღირებული ეითომც სამას თუმნად. პატრონისაგან აღმოჩენილი ეითომც არიან დამნაშავენი, რომელზედაც გამოძიება არის, და განჩინებაც შემდგარა სოფლისაგან გარდასახლებაზედო.

„მართლათ უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარი ავაზაკური მოქმედება შესანიშნავი არის და ყურად მისაღები.

„მაგრამ ჩვენ ქართველებმა ყველამ ეიცით, რომ ბოსელს და საბძელს რა მასალა აქვს შენობისათვის ანუ რა ფასიანი: სიგძე ბოსელს ოცს აღლამდი ჰქონდეს; სიგანეც შვიდ აღლამდინ. აღლზედ წყვილი კაეი უნდა, რომელიც ეღირება სულ ოცი წყვილი სამ მანეთად; ეგრეთვე ოცი კოჭი ეღირება იმ ალაგს ოც მანათათ; ფიცარიც მოუნდება ორასი ნაჭერი თითო აღლიანი, რომელიც ღირს იმ ალაგს ოც მანათათ და სხვა მასალა როგორც ჩალით დახურულის შენობის ეღირება ხუთმეტი მანეთი. საბძელი, როგორც ბევრათ ნაკლებია ბოსელზედ სიგძით, სიგანით, შენობით და მასალით, ბევრით ნაკლები ღირს ბოსელზედ. ძრიელა ვცდილობთ, რომ სამასი თუმანი შედგეს ეს შენობა და დამკტიცდეს აზრი დამწერისა, მაგრამ საუბედუროდ, არა სდგება ეს ფული, ერთი ათათაც რომ ვიანგარიშოთ და ქვითკირის შინობითა.

„რომ არა ვსთქვა არ შემიძლიან, რომ ხსენებული თ. აფხაზი ძალიან პურადი კაცი არის და ყველას პატივის მცემელი. უპატივცემლოთ არვის დააგდებს, რა გვარათაც კი მაახერხებს; ამასთანავე დიდი ხარჯი აქვს სტუმრისაგან; იმის მეზობლები კვირაში ერთხელ ვერა ნახვენ ხორცსა და ამას კი დღეში სამნაირი საჭმელი აქვს ხორცისა.

„მაშა სადამე ეინ გაჰბედამდა და ეინ აწყენინებდა ამ გვარს პატივისმცემელს კაცს, თუ შინაურის უყურადღებობით არ დამწვარიყოს!

„განჩინება, რომელიც არის დამნაშავეებზედ შემდგარი, მთავრობამ უკანონოთ დაინახა, რადგან გამოძიებით დანაშაულობა არ დამტკიცებულა, როგორც მწერალი ხელ-დადებით აჩვენებს. იქნება ამ კორრესპონდენტმა ეს ამბავი და ანგარიში ერთ იმ დედაკაცთაგან გაიგონა, რომელსაც ამ სოფელშია „უბნის ირაო ქადაგს“ ეძახიან და რომელმაც ხშირათ იცის ლაპარაკში: „დაჰკალ, გამამიგზავნე! დაეკლამ, გამოგიგზავნი!“

მნახველი

„დროების“ კორრესპონდენცია

ქალაქიდამ ხოვლემდინ, ივნისის 10-ს. ამ თვის რვას ქალაქის გარეთ გასელა მამიხდა. სამშაბათს დილა ძრიელ მოწმენდილი იყო... მცაში ერთ პაწაწინა ღრუბელს ვერ მოჰკრავდით თვალსა და ამისათვის ადვილი საფიქრებელი იყო რომ იმ დღეს ძრიელ ეცხელებოდა. მართლათაც, ჯერ რე თათის ნახევარი არ იქნებოდა, რომ რეომიუტრის თერმომეტრი ოთახში აჩვენებდა ოცდა ხუთ გრადუსამდინ.

აი ამ ცხელ დღეში დალოცვილი რკინის გზით ამოვეყავით თავი მე და ერთმა ჩემმა ნაცნობმა ბრაკალის სტანციაში. ამ სტანციაში ცხენები ვერ ვიშოვნეთ და ფეხით გაუდექით მეტეხის და ხანდაკის მინდორს. ქარგა ხანია მე ეს მინდორი ალარ მინახამს და ვფიქრობდი, რომ ამას ისევ ის სიცოცხლე ექნებოდა, რა სიცოცხლეც უწინ ჰქონდა; მაგრამ შევცდი. ჩალვადრების ცხენების ყლარა-ყლურს, იმერლების კვილს და ხრიანცელს, ურმების ჭრაჭი-ჭრუჭს, ურმული სიმღერას, ცხენების გაჯირითებას კოხტა თავადებისაგან, მეტიეების ჯგუფათ მგზავრობას,—ყველა ამას ვეღარა ხედავს მგზავრი მოხსენებულ ტრიალ მინდორში; ერთი საშინელი სიჩუმე, ერთი საშინელი უძრაობა სუფევს ეხლა აქ. მუშა ხალხის ღაღანიც კი არსაიდამ ისმის. მხოლოთ ზოგი ერთ თელის ხის ძირს ნახამდით რამდენსამე ჩაძინებულ მუშა კაცს. ამათი ტკბილი ხვრემა ცოტა რა, რომ ატყობინებდა მგზავრს მათ იქ მყოფობას. აი კიდევაც მივახლოვდით ერთ თელის ხეს, რომლის ჩრდილოშიაც წამოწოლილან რამდენიმე მუშა და ერთხმათ ხვრინამენ, გარეშემო უწყვიათ თოხები, ხის ძირში დევს ხურჯინი, ამ ხურჯინს გვერდზედ უდგია ლიტრა. ჩვენ ფეხის ხმაზე გამოეღვიძა ერთ მათგანს და ერთი ძალია, დაგვაცქერდა. უთუოთ ფიქრობდა: საიდან გაჩნდნენ ეს კაცები და ამ სიცხეში საით მიეხეტებიანო? ჩვენ გამარჯობაზე რამწამ პასუხი მოგვცა, ზედ მაშინვე დაატანა: „სად მიდიხართ, ვისთან მიდიხართ?“ — ხოვლეში მივდივათ—ცოტა რამ საქმე გვაქვს იქ, უპასუხეთ ჩვენ. ბლეხის კითხვა იმ ნაირი იყო, ცხადად სჩანდა შემდეგი: ეს კაცები უნდა ვაჭრები იყვნენ, თორემ თუ ესენი ან მარხნიანთ ან კიდევ ჯაფახიანთ ნათესაენი იყვნენ, როგორ იკადრებედნენ ფეხით წასვლას. აი იმისთანა აზრმა გაურბინა თავში ჩვენ მემუსაიფეს და ამისათვის ერთი კითხვა კი მოგვცა და მაშინვე წაწვა და მისცა ძილს თავი.—„დაიძინე ჩემო ძმაო, მაგაზე უკეთესი რაღა იქნება“! წავიდუდუნეთ ჩვენ ცხვირ წინ და გავსწიეთ. ნახევარ საათის შემდეგ სწორეთ შიგ შუა მინდორში ვიყავით.

აქედან დავიწყეთ აქეთ-იქით ცქერა. ჩვენ თვალს წინ იყო გადაშლილი მინდორი სახნავებით შემკობილი. ამ სახნავების მომეტებულს ნაწილში დგას პური, რომელსაც მშვენიერი თავთავები ასხია და კარგ მოსავალსაც ჰპირდება თავის პატრონებსა. არც სიმინდებია ურიგო. მხოლოთ ეს კია, რომ მშვენიერ ყანებს ხედამთ მარტო შარა გზის ქვემოთ. ზემოთ კი ვერაფერს. შარა გზის ქვემო რაც მიწებია, უფრო მეტეხის ახლო, ყველა კარგი ნოყიერია და წყალიც არ აკლია, მაგრამ შარა გზის ზემოთ კი ღმერთმა შეინახოს—ნიადაგი ცოტა რა არის, რომ ქვიანია, ბევრის გადაბრუნ—გადმობრუნებით არაქათი გამოლევია და არც წყალი აქვს; ამისათვისაც მინამ კაცი გასცქერს სახნავ მიწებს ქვემოთ რკინის გზისკენ, იმასი გული სიხარულით ფრიალებს და ფიქრობს: რა უშავს ჩვენ მოძმეებს; მათი შრომა მუქთად არა ქრება! მაგრამ როცა იქს პირს ზემოთ და გახედამს მიწებს ხოვლისკენ, მაშინ სულ სხვა აზრი დაებადება თავში და მალ-მალე გაიმოორებს: რამ გამოსწვა ეს მიწები? რამ დალა ესე საშინლათ? ამ კითხვაზე მიწების ამ საძაგელ მდგომიარობაში ჩავარდნისა სხვა მიზეზებთან ის მიზეზიც იყვეს, რომ ეს მიწები თითქმის სულ საბატონოა და ამისათვის გლეხებს, რომლებსაც საღალოთ უხნავთ და არ უცქერიათ ისე როგორც თავიანთ საკუთრებისათვის — ყური არ მიუგდიათ და არ უხმარიათ ყოველგვარი ღონის-ძიება, რომ მოხსენებულ მიწებს ასე არაქათი არ გამოლეოდა!.

დავანებოთ თავი სახნავებს და აბა ახლა გავხედოთ სოფლებსა მოხსენებულს მინდორში.—ქარგა ბლომათ არის აქ შეჯგუფული სოფლები: ბომი, მეტეხი, ბრაკალი, ჩოჩეთი, დოესი, ახალქალაქი და მივარდნილ ადგილს ხოვლე. ყველა ეს სოფლები და კიდევ ერთა-წმინდა და ზემოხანდაკი ამკობენ ზემოთ მოხსენებულ მინდორს.

ეაკი რომ დგას ამ მინდერის შუა ადგილას და ხედავს ამდენ სოფლებს—ზოგ მათგან შუა მინდორში, ზოგ კიდევ მინდერის ნაპირებზე, საკვირველებაში მოდის, რომ რკინის გზის გამკეთებლებს რელსები გაუყრიათ აშურიანისკენ ე. ი. მტკვრის მარცხნივ მხრისკენ, სადაც ცოტა სოფლებია და მომეტებული ნაწილი უვარგი ადგილია, და დაუნებებიათ თავი ამისთანა მშვენიერი და სოფლებით სავსე ადგილებისათვის. მაგრამ რას ვამბობ, იქნება რკინის გზის მკეთველებისათვის ხიდების გაწყობა, ოლრო-ჩოლროების ამომსება, ბორცვების დადაბლება—უფრო ადვილი საქმე იყვეს, მინამ სწორე ადგილზე რელსების გაყრა და ამას მოითხოვდეს კიდევ მათი მაღლოვანი, ჩვენისთანა კაცისათვის მიუწდომელი, აზროვნება!?

აქეთ-იქით ცქერას და დათვარიელებას თავი დავანებეთ და ნახევარ საათის შემდეგ თავი დაუკარით გორებს შუა მივარდნილ ხოვლეს იმ ხოვლეს, რომელზედაც ძრიელ ხშირათ გამიგონია: „ხოვლული, ღვინით დამთვრალი სამი დღე ვეგდე ტალახშიაო.“ იქნება ერთი სოფელიც არ იყვეს ბორის მაზრაში ისე გატენილი საბატონო მამულებით, როგორც ხოვლე. თუ ეს ასეა, რადა ლაპარაკი უნდა, რომ ბატონყმობის გადავარდნის შედეგები ისე არსად უნდა სჩანდეს, როგორც აქ. ჩვენ არა გვაქვს დრო გამოუდგეთ აქაური მცხოვრებლების შინაურ ეკონომიურ მდგომარეობის აწერას, მათი აღლადიდების გამოკვლევას, მათს წარმატებას წინეობისა და თავისუფალ მოძრაობის მხრით. ჩვენ მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას მხოლოთ იმაზე, რასაც პირდაპირ კაცი ნიშნავს ერთი თვალის გადავლებით.

მე და ჩემი ნაცნობი ვდგევართ სწორეთ შუა სოფელში იმ ნაირ მაღალ ადგილზე, საიდამაც სოფლის ყველა კუნჭული ნათლათ სჩანს. ჩვენ თვალ წინ გვიდგება თავადისშვილების სახლები, რომლებსაც საცოდავათ ჩამოსტირით პირისახე; ყველაფერი დასძველებიათ: ბალკონები, მოაჯირები; ყოვარი სრულებით დახეთქი-

ათ; ზოგიერთს ადგილას ფიცრები ამოცვივნულან; — ერთი სიტყვით ეს სახლები მაცქერალს თითქმის ასე ეუბნებიან: „რამდენიმე წლის წინეთ ჩვენ პატრონებს მუქთი მუშა ბევრი ჰყავდა და ჩვენი განშვენებისათვის არაფერს ზოგავდნენ, ეხლა კი ისეთი დრო დადგა, რო თავიანთ თავის გამოკვებაც უჭირდებათ, არათუ ჩვენი გაახლება.“ Oთავადიშვილების სახლების შემდეგ ჩვენ ყურადღებას იპყრობს გლეხების სახლ-კარი: ზოგიერთ მიწის სახლებთან კოპწიათ გამოჭიმულან ქვითკირის სამ ოთახიანი, ან ორ ოთახიანი სახლები; ზოგიერთ მათგანს აქვს ბალკონი ანუ გვარიანი კარაბანი და ზეიდამ ბუხარს ახლო ყავარი. Ამ სახლებს რო უცქერის კაცი, არა სჯერა, რომ ეს სახლები გლეხებს ეკუთნოდეს. ჩვენ თვითონ არ დავიჯერეთ და ამისათვის ღირს პატივსაცემ მღვდელს ვკითხეთ, თუ ვის ეკუთვნის ახალი ქვითკირის სახლები, და აი ამ პატიოსანმა მღვდელმა რა გვიპასუხა: Aი ის სახლი აზნაურისაა, სხვა სულ გლეხებისა; რათ გიკვირთ, რომ ზოგიერთ გლეხს კარგი სახლი აქვს!? Oგენი ამ უკანასკნელ წელიწადებში ძალიან წინ წამოვიდნენ.“

რადგანაც აქ გლეხების სახლ-კარო ბაზე მოგვიხდა ლაპარაკი, ჩვენ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ შემდეგი: ჩვენი მემამულენი ძრიელ ერთგულათ მისდევენ ძველათვე შედგენილ ანდაზას: „რაც არ ექმნას მამაშენსა, ნურც შენ დახემმარმაშენსაო.“ Aმათ მამა-პაპის არა ჰყვარებია სახლის წინ მშვენიერი ბოსტნეულობა, მაღალი ხეები, კარმიდამის სიწმინდის შენახვა და არც ამათ უყვართ. Wარმოიდგინე, მკითხველო, რომ ზემოხსენებულ კოპწია სახლების წინ თქვენ ჰხედამთ საქონლის ნეხვს, უწმინდურობას და სხვა და სხვა ხეების ნაფოტებს. ნუ იფიქრებთ, რომ კარების წინ ვისმე ხეხილები, ან უბრალო ხეები ედგას, ან პატარა ბოსტნეულობა ჰქონდეს, რომ ვისმე თავისი კარმიდამო წმინდათა ჰქონდეს შენახული! ჩვენის აზრით, სიტყვით და ბეჯითათ — უფრო „სასოფლო გაზეთის“ შემწეობით უნდა უქადაგოთ ჩვენ მხვნელ — მთესველებს, როგორ უნდა მოამართონ კარმიდამო, როდესაც ისინი აშენებენ ახალ სახლებს. Aმ ქადაგებითვე უნდა მივმართოთ მამა მღვდლებს და სასოფლო მასწავლებლებს, რადგანაც ესენი ხალხზე ძრიელ ახლო დგანან და მათი ცხოვრების მაჯის ცემა კარგათ ესმით. Uკანასკნელებმა, ე. ი. სახალხო მასწავლებლებმა შკოლაშივე თავიანთი პატარა შეგირდები უნდა მიაჩვიონ სიწმინდეს, რომ ამათ — როცა გაიზდებიან — შეიტანონ ცხოვრებაში სიფაქიზე და სიწმინდე.

ნ. Mაგვიეთელი.

(Dასასრული შემდეგ №-ში)

UცხO ქვეყნები

Oსმალეთი და სერბია. Mგონია, ძალიან მალე მოგვიხდეს ჩვენ ომის ამბების წერა; საქმე მიწურულშიაო, რომ ამბობენ, სწორეთ ისეთს მდგომარეობაშია ახლა Oსმალეთსა და სერბიას შუა დამოკიდებულება.

Bუშინ წინ ქალაქში დეპეშა მოვიდა, რომლიდამაც შევიტყეთ, რომ „რუსეთისა და Bერმანიის Iმპერატორებს ცნობა მოუვიდათო, რომ სერბიასა და Oსმალეთს შუა ომის აცილება შეუძლებელი საქმე არისო. სერბიის მმართებლობამ ისეთი მოთხოვნილება (ულტიმატუმი) გაუგზავნა Oსმალეთისას, რომლის ასრულება ხონთქარს არ შეუძლიანო. Uმთავრესი სახელმწიფოები ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ, რომ ომი არ მოხდეს და რომ Iნგლისმა და რუსეთმა თანხმობით იმოქმედონ.

Bუშინ მოსული ტელეგრამმიდამ კი ეტყობულობთ, რომ საქმე იქამდინ მივიდაო, რომ სერბიასა და Oსმალეთს შუა განხეთქილება უომოთ ვერ გათავდებაო; უმთავრეს სახელმწიფოებს ხელი აუღიათ მეცადინეობაზე, რომ მშვიდობიანობა ჩამოაგდონ ამ ორ სახელმწიფოს შუა. რუსეთი და Iნგლისი დათანხმებულან იმაზე, რომ სერბია და Oსმალეთი ერთმანერთთან საომრად მიუშვან და თვითონ კი ამ ბრძოლაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ.

Aმბობენ, რომ სერბიის ეოლონტერები Oსმალეთის სამძღვარზე გადასულან. მეორეს მხრით ისმის ვითომც Oსმალეთის ჯარს, რომელიც სერბიის სამძღვარზეა გაჩერებული, და აგრეთვე მდინარის Dუნაის სამხედრო ხომალდებს (ფლოტს) ბრძანება მოსვლიათ სტამბოლიდამ, რომ ყოველ წამს მზათ იყვეთ საომრათაო, დღე-დღეზე ლაშქრად წასვლის განკარგულებას მოელოდეთო. Oსმალეთის მხრით, სერბიის სამზღვართან დაყენებული ჯარის სარდლად მურად მეხუთეს Aბდულ-Mერიმი დაუნიშნავს.

Mსეც თითქმის აუცილებელი ომი! Dღეს ან ხვალ ჩვენ ოფიციალურად ომის გამოცხადების ამბავს მოველით და იმედი გვაქვს, რომ შემდეგ ნომერში მებრძოლდა, პირველ შეტაკების ამბავს თუარა, პირველ ნაბიჯების ამბავს მაინც უამბობთ ჩვენს მკითხველებსა.

—

Bოსნია და Bერცოგოვინა. Aმ ორ პატარა ქვეყანაში არეულობა და ბრძოლა ოსმალებთან თავის რიგით მიდის. Mართალია, ამ უკანასკნელ ხანებში აჯანყებულებისათვის სანუგეშო ამბავი ბევრი არა მოდის რა; მართალია, Bერცოგოვინელებს უბრძოლველად დაუთმიათ Oსმალოს ჯარისათვის, რომ ნიკშიცის ციხე-ქალაქში სურსათი შეეტანათ, მაგრამ არეულობის დამშვიდებას ჯერ კიდევ ბევრი უკლია და ბევრი უკლია განსაკუთრებით ახლა, როდესაც რაც Oსმალოს საუკეთესო და გაწვრთნილი ჯარი ეგულება, სულ სერბიასთან საბრძოლველად უნდა მოიხმაროს.

— Aმას წინეთ ბოსნიის ერთს პატარა ქალაქში — ძოსტაინიცში შეკრებილან ყველა მოთავე კაცები ბოსნიის არეულებისა. ძრების თაესმჯდომარეს უთქვამს დამსწრეებისათვის, რომ: როგორც მოგეხსენებათ, სტამბოლში რეოლიუცია მოხდაო, ძველი სულთანი Aბდულ-Aზისი გადაყენეს ტახტიდამ და მის მაგიერად მურადი აიყვანესო; ამ ახალს ხონთქარს ჰსურს ჩვენთან მოლაპარაკება მორიგებაზე და თქვენ რას იტყვით ამაზედო? რა პასუხი უნდა გაუგზავნოთო?“ ძრების წევრთ ბევრი სხვა და სხვა გვარი ჰაზრი გამოუთქვამთ ამ საგნის შესახებ. Bოლოს ერთს იმათგანს შემდეგი სიტყვა უთქვამს: „Eრთი ხონთქარი გადაბრძანეს სტამბოლს ტახტიდამ და მეორე დაბრძანეს. მერე რა მოხდა? რა გამოვიდა აქედამ, ჩვენ რაო? Oს ცვლილება იქნება თვითონ Oსმალეთს შეჰმატებს რასმე და არა ჩვენ! ჩვენ მხოლოთ იმ შემთხვევაში დავიწყებთ ახალ ხონთქართან მოლაპარაკებას, თუ ის თავიდამვე გამოგვიცხადებს, რომ სრულს დამოუკიდებლობას, სრულს თავისუფლებას მოგვცემს და თავს დაგვანებებს. Bანა მურადი ამაზე დათანხმდება? Aრა. Aმის გამო ჩვენ უნდა განვაგრძოთ ბრძოლა, და ვიბრძოლოთ, სანამ შეგვიძლია, უკანასკნელს სისხლის წვეთამდინ!“ Uველა ამაზე დათანხმებულა და ეს გადაწყვეტილება იმ წამსვე გერცოგოვინელ აჯანყებულებთ მოთავეებისთვის შეუტყობინებიათ.

Uფლიშის დღესასწაული სვანეთში *)

—

Mუმცა სვანები დდესასწაულობენ წმინდა Aღდგომას ქრისტიანულად, მაგრამ არა ისრე სიხარულით მიეგებებიან, როგორც Uფლიშს.

Aგიწერთ — როგორ დღესასწაულობენ ამ დღეს Sარის საზოგადოებაში.

Aმ დღისთვის შემოდგომიდგანვე დაიწყებენ მზადებას.

მოჰკრეფენ თუ არა ყოველივე ჭირნახულს, რამოდენიმე მოსახლე შეერთდებიან ერთად, კაცი და ქალი, დიდი და პატარა ერთს კვირა დღეს იმ მოსახლისას, რომელსაც წილად აქვს შეხვედრილი Uფლიშის მასპინძლობა. Aმ დღეს იმ მოსახლემ კარგათ უნდა ემასპინძლოს; შემდეგ უნდა მოუკრიფონ თვითოეულს სულზე თვითო ბათმანი ფქვილი; ამას გარდა თვითეულმა მოსახლემ კიდევ ხუთ-ხუთი ბათმანი ფქვილი Dვთის, Dვთის-Mშობლის, Mთავარ-ანგელოზის, წმ. Bიორგის და წმ. Bარბარეს შესაწირავად ანუ მისალოცავად. Aმ მოგროვილს ფქვილს ის მოსახლე შეინახავს.

Dიდ-მარხვის მეხუთე კვირას შეიყრიან თავს კიდევ იმავე მოსახლისას, რომელმაც უნდა უმასპინძლოს ყველას სადილათ და ვახშმათ პურით და არაყით. Oს კვირა Uფლიშის წინამორბედია; ამ კვირიდამ დაიწყებს ის მოსახლე არაყის მზადებას Uფლიშისათვის; არაყი უნდა მოხარშოს თავის საკუთარი ჭირნახულიდამ ათ ქვაბამდინ, თვითო ქვაბში გამოვა თვითო ვედრო არაყი; ამ მოსახლესვე უნდა ჰყვანდეს გასუქებული საკლავები, ხარი ან ვერძები და სხვა წვრილმალი საკლავები. Oვითოეული მოსახლე უნდა შეეწიოს ორ-ოლ ვედრო არაყს. Aმ გვარს შეკრებილებას ეძახიან „სკარს“ *).

Uფლიშის შაბათს საღამოს შეგროვდებიან იმავე მოსახლისას, გადაჭკრავენ ლაზათიანად არაყს და წავლენ თავიანთ სახლებში.... მეორე დღეს, ესე იგი Uფლიშს, სადღესასწაულო ტანისამოსით გამოწყობილნი ულოცავენ ერთი მეორეს დღესასწაულს, როგორც Iმერეთში Aხალწელიწადს იციან. Uველანი თავისუფალნი არიან სადილის მზადებისაგან, გარდა იმ მოსახლისა, რომლის სახლში არის სკარი, ის კი დიდ ფაცაფუცშია; მან უნდა მოამზადოს საღღესასწაულო ყოველითურთ შემკობილი, სადილი, როგორც შეეფერება Uფლიშს, რომელზედაც შეიძლება იქმნეს სამოც სულზედ მეტიც და ნაკლეც, ეს არის დამოკიდებული თუ რაოდენი მოსახლე არიან ერთად ამხანაგნი. სანამ სადილათ დასხდებოდნენ თვითოეულ მოსახლიდამ თვითო კაცი არაყით, პურით და ცეცხლის ალზედ გაკოწწილი პირუტყვის ღვიძლით **) წავლენ ერთ მაღალ გორაზედ, სადაც არის ძველი ნაეკლესიევი; იქ შესწირავენ თავიანთ საგზალს ხოშა Dერმეთს (Dვთაებას) და თვითონვე შესჭამენ. Iქიდამ დაბრუნებული მოიყრიან თავს თავათ მასპინძლისას, დასხდებიან სადილად და რჯულზედ გადაკრავენ. Sახშამსაც ამნაირათვე შეექცევიან.

მეორე დღეს ორშაბათს, როგორც წინა დღეს, თვითო კაცი მოსახლიდამ წავლენ მარტო პურით და არაყით მეორე გორაზედ, სადაც არის ძველი მთავარ-ანგელოზის ნაეკლესიევი, იქ მოილოცვენ, როგორც წინა დღესა და იქიდამ ისევ თავიანთ მასპინძლისას დაბრუნდებიან.

მესამე დღეს, სამშაბათს, კიდევ ისრევ თვითო კაცი — წავლენ წმ. Bიორგის ეკკლესიაზედ, (ეს ეკკლესია ეხლაც არის, მდიდარი ხატით და ჯვარით, მაგრამ სიძველისაგამო წირვა არ სრულდება მასში); აქ კი ბლომათ წაიღებენ შესაწირავ — ძღვენს, პურს და არაყს; შემდგომ მოლოცვისა თითქმის საღამოამდინ იქ ატარებენ დროებას თამაშით და თოფის სროლით.

Aმ სამშაბათიდამ შეჩერდება შესაწირავი ანუ მოლოცვა კვირამდინ

---

*) Kვირაცხოვლობა ანუ ახალკვირე.

*) სკარი ქართველად სხვებრ არ გადითარგმანება თუ არ ფსონობა.

**) Oს ჩვეულება იმ დროიდგან არის დარჩენილი, რევ მართალმან რომ შემოიღო პირუტყვების Aრმაზისადმი შეწირვა. Oვითოეული სვანი ალგიხსნით, რომ ეს ღვიძლის შეწირვა ძველიდგანვე აქვთ ნაანდერძევი.

კვირას მთელი სოფელი იყიდის ხარს, დაკლავენ იქ, სადაც უფლიშის ორშაბათს მოილოცეს, შესწირავენ მთავარ-ანგელოზს, ტყავს არაყზედ გაყიდიან, მიიტანენ თვითო დიდ ყველიან პურს *) იმოდენას, რომ თითო კაცი თვითოს თუ წაიღებს ტაბაკზედ დაკრულს. დასხდებიან და სადილს სჭამენ.

მეორე დღეს, ორშაბათს, კიდევ უქმად არიან, შემდეგ კი დაიწყებენ მუშაობას.

მესამე კვირას კიდევ მთელი სოფელი ხარს იყიდის და იქ დაჭკვლენ და შესწირავენ, სადაც უფლიშის დღეს ღვირძლები შესწირეს; სადილსაც იქ სჭამენ. მეოთხე კვირას კიდევ იმ გორაზედ შეგროვდებიან მოსალოცავათ მარტო პურით და არაყით, სადაც უფლიშის ორშაბათს მოულოცეს. უფლიშიდამ ამ კვირამდინ ყველანი იქ ისადილებენ და ვახშმობენ, სადაც სკარი აქვთ, იმ ფქვილით, რომელიც მემოდგომაზედ შეკრიბეს; ამ კვირეს დაილევა ეს ფქვილი და კიდევაც გამოეთხოვებიან უფლიშის სკარს.

ის მოსახლე, რომლის სახლში სკარი იყო, მიულოცავს მეორე მოსახლეს, რომელსაც წილად ერგება მომავალი წლისათვის სკარი, რომ უკეთ უმასპინძლოს. სკარი ყველას არ ექმნება, ზოგიერთი მარტოთ თაეის სახლში დღესასწაულობს, მაგრამ მოლოცვაში კი ყველგან დაესწრება.

უფლიში მთელს სვანეთში იციან, მხოლოთ ზოგიერთ სოფელში რაოდენიმე განსხვავებით.

ო.

*) ეს პურის შეწირვაც იქიდამ არის დარჩენილი, ქართველები რომ ორმაზს შოთ პურს სწირავდნენ.

ნარევი

ახალი ხონთქრის მურად მეხუთის ცოლი, როგორც ამბობენ, ინგლისელია თურმე. ამ რამდენიმე წლის წინათ, ის მისულა სტამბოლს, მოდის მაღაზია გაუხსნია და კერვით ირჩენდა თავს. ერთხელ მურადმა ნახა სადღაც, მოეწონა, შეირთო და მას აქეთ განუშორებლივ ერთად ცხოვრებენ.

* * *

მას ჟამსა შინა, ერთს ჩვენებურ მისს ყოველად-უსამღვდელოესობამ ერთი სოფლის მოხუცებული მღვდელი მოიხმო, რომელმანც რუსული არ იცოდა თურმე, და გამოუცხადა:

— მამაო, შენ ერთობ მოხუცებული ხარ, მოსვენება გეჭირება. ბრძანება მოვიდა ახლა, რომ ახალგაზდა მღვდლები უნდა ვაკურთხო, ისეთები, რომელთაც რუსული იციან, რომ რუსულად შეეძლოსთ წირვა. ამის გამო სამსახურს თავი უნდა დაანებო!

— თქვენი ნებაა, ყოვლად-უსამღვდელოესობაკ! უთხრა მღვდელმა. მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ: ეს ორმოცი წელიწადია, ქართულად ვსწირავდი და ესმოდა ღმერთს ჩემი ლოცვა. ახლა რუსულად უნდა სწირონო! ხო არ დავიწყნია ღმერთს, ბატონო, ქართული?

* * *

ერთი პატივცემული, მაგრამ ახირებული კაცი აზნაურობის ღირსებას ეძებდა. ქამისიამ რომელსაც თავად-აზნაურობის ღირსების გარჩევა ჰქონდა მინდობილი, საუბედუროდ, არ იცნო ის აზანაურად. ბამოჯავრებულმა დიდი, მეკვრმეტყველური არზის წერა დაიწყო უმაღლესის სახელზე მოსართმევად. ამდროს ერთი ნაცნობი წამოესწრო და ჰკითხა:

— რას აკეთებთ, პეტრ ივანიჩ?

— არზას ვსწერ ხელმწიფის სახელობაზე; აზნაურობა უნდა ვთხოვო, ამ ოხერმა კამისიამ არ აღიარა ჩემი ღირსება.

—რად გინდათ მერე აზნაურობა? უიმისოთაც ხო ჩინოვნიკი ბრძანდებით და შვილები თუ გეყოლებათ, კანონით კეთილშობილებად ჩაითვლებიან!

— ვა! როგორ! სისხლი? სისხლია საჭირო! აზნაურს სულ სხვა სისხლი აქვს!

— სისხლი გინდათ? მიირთვით კარგი ინგლისური ბიფსტექსი, კახური ღვინო ზედ დააყოლეთ ან კარგი კონიაკი და აი, კარგი სისხლიც!

* * *

რადგან ამ უკანასკნელ დროს მათხოვრები ერთობ გამრავლებულან რუსეთში, ამიტომ გაზეთებმა იმათ ბედზე და მდგომარეობაზე ლაპარაკი დაიწყეს. მათხოვრებად თითქმის სულ ისეთი ხალხია თურმე, რომელთაც მიწა-წყალი არა აქვთ და სხვა საცხოვრებელი ღონის-ძიება ვერ მოუნახავთ. ბაზეთები და რამდენიმე გუბერნიის ერობანი ურჩევენ მთავრობას, რომ ეს უმიწო-წყლო ხალხი ისეთს ადგილას გაგზავნეთ, სადაც ბევრი მიწებია და მუშა ხალხი კი ცოტა არის. თუ ამასთანავე ხაზინა იმათ ცოტა შემწეობას მისცემს, რომ დაესახლონ და ოჯახობა გაიმართონო, ვინ იცის, იქნება ამ მათხოვრებში, რომელნიც დღეს ასე უსაქმოთ დაწანწალებენ, შემდეგში ბევრი მშრომელი და საზოგადოების გამოსადეგი ხალხი დადგენო.

განცხადებანი

დაიბეჭდა ხელაძის სტამბაში და ისყიდება უფ. ქალანდაძის წიგნის მაღაზიაში ქართული

საღმრთო ისტორია

ძველის აღთქმისა, შიდგენილი მღვდლის დიმ. ჯანაშვილისაგან ხალხისათვის გასაგონის ქართულის ენით და იმ პროგრამით, რა პროგრამითაც საღმრო ისტორიას მკოლებში ასწავლიან. ბარეშე ქალაქებიდამ დაბარება ზემოხსენებული წიგნის მაღაზიებიდამ შეიძლება.

ფასი ათი შაური

(4—2)

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაიდანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფი. ქიუჩარიანცი—უუ ისა და ხირურგიულ ავათმყოობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.

დაიბეჭდა და ისყიდება
თამარ საქართველოს
გატონისშვილი
ისტორიული რომანი
გ. რჩეულოვისა.
თფილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.
ფასი ყველგან ექვსი შაური.

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

pommade satin

(ატლასის კუმადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუ'კდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—41

„დროების“ ფოჩტა

— ო-ს, ა. შ-ს. რასაკვირველია, რომ ყოველა № გეგზავნებათ თქვენ გაზეთისა თავის დროზე; მაგრამ, თუ რომელიმე № არ მოგსვლიათ, თუმცა ჩვენი ბრალი არ არის ეს, მოგვწერეთ და მეორეთ გამოგიგზავნით. ფოჩტის სტანციაზე უთხარით, რომ თქვენს ნომრებს სხვებს ნუ აძლევენ.

— თ-ს, ი. პ-ს. თქვენს ლექსებში გრძნობის, აზრისა და ლექსთ-წყობილების მეტი ყველაფერია. მაშასადამე... ვერ დაიბეჭდება.

— თ-ს, თ-ის მ-ხ. როგორც სჩანს, ძალიან უწყენინებია თქვენთვის იმ ქალს, ეგრე მწარეთ რომ ლანძღავთ. მაგრამ ჩვენ და ჩვენს მკითხველებს რომ არა დაგვიშავებია რა თქვენთვის, რად გინდათ, რომ თქვენი ლექსის წაკითხვით დაგვსაჯოთ.

— ქ-ს, კ. ზ-ს. თუმცა თქვენი კორრესპოდენცია ცოტა არ იყოს დაგვიანებულია, მაგრამ მაინც დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ შემდეგ №-ში.

— ქ-ს, ი. ბ-ს. თქვენი შენიშვნაც დაიბეჭდება. შეცდომაში კი არ შეგვიყვანოთ.

— რ-ს, თ. მ-ს. რუსულით გადმოთარგმნილი ანექდოტები არ გამოგვადგებიან. თუ მოახერხებთ, ჩვენი ცხოვრებიდამ გამოგზავნეთ რამე მახვილური სიტყვა ან შემთხვევა.

— მ-ს, კ. ა-ს. „ბრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის, შაირია ამით კარგი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესიდამ:

ფოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ახალციხეს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 15 თიბათ.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 32 პენსი.	—	84
პარიჟში 334 სანტიმი.	—	89
მსკონტი(სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	100	25
მოგებიანი(პირველისესხი)	203	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	201	75
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	94	--
ხერსონის ბანკის (5½)	88	—
მოსკოვის (5%). . . .	86	75
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	172	—
ფოთი-თფილ.რკინ.გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	530	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 19 თიბათ.		
პური შორაგალის ფთ.	—	80
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	50
—ამერიკისა, ფუთი. .	6	30
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	7	50
—თარაქამისა ფთ. .	7	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	60
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	70
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	10
—ფხვნილი ფუთი . .	6	—
ყავა გრგვალი ფუთი .	20	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	50
ოქრო ½ იმპერიალი. .	6	18

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Іюня 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.